

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ივლისი, 2016

შეფასების სქემა

თეორიული ნაწილი (I ნაწილი)

დავალება	სწორი პასუხი
1	ბ
2	ბ
3	დ
4	ბ
5	ბ
6	დ
7	ბ
8	დ
9	ბ
10	ბ
11	ბ
12	ბ
13	ა
14	ბ

დავალება	სწორი პასუხი
15	დ
16	ბ
17	ბ
18	ბ
19	ა
20	ა
21	ბ
22	ბ
23	ბ
24	ბ
25	ბ
26	ა
27	ა
28	ა

დავალება 29	
<i>მაქსიმალური ქულა - 2</i>	
ქულა	აღწერა
2	სწორი და ამომწურავი პასუხი: ტერმინი „ფაილის ტორენტით ჩამოწერა“ სწორად და ამომწურავად არის განმარტებული.
1	სწორი, მაგრამ არასრული პასუხი: ძირითადად სწორად არის განმარტებული, რას ნიშნავს ფაილის ტორენტით ჩამოწერა, მაგრამ განმარტება არასრულია (აკლია რომელიმე კომპონენტი). მაგალითად: ⇒ ტორენტი არის ინტერნეტ-არხის საშუალებით ინფორმაციის/სასურველი ფაილების გაცვლის საშუალება. ან ⇒ ტორენტის დახმარებით შეგიძლია მოიპოვო სასურველი ფაილი პირდაპირ სხვა მომხმარებლისაგან.
0	არასწორი/არაადეკვატური პასუხი: პასუხი აცდენილია პირობას ან განმარტებაში დაშვებულია ფაქტობრივი უზუსტობა.

დავალება 30

მაქსიმალური ქულა - 2

ქულა	აღწერა
2	სწორი და ამომწურავი პასუხი: აღწერილია რომელიმე ორი ადეკვატური შეზღუდვა, რომელთა მიზეზითაც მომხმარებელმა შეიძლება ვერ მოახერხოს სასურველი მასალის ელ-ფოსტით გაგზავნა.
1	სწორი, მაგრამ არასრული პასუხი: <ul style="list-style-type: none"> ⇒ აღწერილია მხოლოდ ერთი შეზღუდვა. <p>ან</p> <ul style="list-style-type: none"> ⇒ მხოლოდ დასახელებულია ორი შეზღუდვა - პასუხი სქემატური და ზედაპირულია.
0	არასწორი/არაადეკვატური პასუხი.

დავალება 31

მაქსიმალური ქულა - 3

ქულა	აღწერა
3	პასუხი არის სწორი და ამომწურავი: პასუხში მართებულად არის დასახელებული ორი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია კომპიუტერის მუშაობის სიჩქარე, ამასთან სწორად არის ახსნილი, რატომ/როგორ უწყობს ხელს დასახელებული ფაქტორები კომპიუტერის სწრაფ მუშაობას. მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმოდგენილი ახსნა/განმარტება ადეკვატურია ორივე დასახელებული ფაქტორისთვის.
2	პასუხი არის სწორი, მაგრამ არასრული: პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე, მაგრამ აკლია რომელიმე კომპონენტი. მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> ⇒ დასახელებულია ორი ფაქტორი და მათი მნიშვნელობის წარმოდგენილი ახსნა ზედაპირული/სქემატურია. ⇒ დასახელებულია კომპიუტერის სწრაფად მუშაობის განმაპირობებელი ფაქტორები (შესაძლებელია მხოლოდ ერთი) და ახსნილია მხოლოდ ერთი ფაქტორის მნიშვნელობა.
1	პასუხი არის ნაწილობრივ სწორი ან ძალიან სქემატური: მოცემულია ადეკვატური პასუხი მხოლოდ პირველ მითითებაზე - დასახელებულია ადეკვატური ფაქტორები, მაგრამ არ არის ახსნილი მათი მნიშვნელობა (ან მოცემული ახსნა არაფრისმთქმელია/ძალიან ზოგადია. მაგალითად: იმიტომ რომ ეხმარება სწრაფად მუშაობაში).
0	არასწორი/არაადეკვატური პასუხი.